თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 24 ოქტომბერი სხდომის ოქმი #12

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 6, სულ – 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ;

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ საჭიროა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და თხოვა საბჭოს წევრებს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება. თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელებულ იქნა სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა.
საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ნუგზარ თოდუამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ ეკონომიკის პრინციპების კათედრის წევრმა ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძემ საბჭოს მიმართა განცხადებით საბჭოს წევრობიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა. შესაბამისად, ეკონომიკის პრინციპების კათედრაზე ჩატარდა არჩევნები და ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ იქნა ბატონი თეიმურაზ ბერიძე. ასევე, შემოსული არის წერილი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მ.შ. სოფიო ჩიტაძის სახელით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში შემავალი სტუდენტების (გიორგაძე ოთარი, ჩინჩალაძე ნაია, სოსიაშვილი თათია) სიის განახლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შევიდეს შესაბამისი ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ნინო მღებრიშვილის (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) და ანდრო გელაშვილის (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დოქტორანტ ნინო მღებრიშვილს (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) და ანდრო გელაშვილს (ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა) სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს 50%-ით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

სრული პროფესორი: ნ. თოდუა

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე